618

ცნობის ფურცელი

ი V. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** პარასკევი, 28 დეკემბერი № 1682

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კანტორაში ვანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და ტ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.

შემდეგი სურათებიანი დამატება (რვა გვერდი) გამოვა 1 იანვარს, სამშაბათს და გაეგზავნება წლევანდელ ხელის მომწერლებსაც.

თებრონია ნიკოლოზის ასული, მისი ილარიონის ძე და ნიკოლოზ გიორგის ძე ქუჩუკაშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი შვილისას, მეორე—ძმისწულისას და მესამე—დისას

თამარისას.

პანაშვიდი დანიშნულია პარასკევს, 28 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ჩუღურეთში, გონჩარნის ქუჩა, საკუთარი სახლი. გამოასვენებენ შაბათს, 29 დეკემბერს, დილის 9 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, და იქიდან წაასვენებენ კუკიის სასაფლაოზე დასაკრძალავად. (0—1)

მეგობრები დიდის მწუხარებით აუწყებენ უდროოთ გარდაცვალებას დაუვიწყარი

თამრო ქუჩუკაშვილისას.

პანაშვიდი დანიშნულია 28 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, გონჩარნის ქუჩა, საკუთარი სახლი. გამოასვენებენ შაბათს, 29 დ. დილის 9 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში და იქიდან წაასვენებენ კუკიის სასაფლაოზე დასაკრძალავად. (2—1)

ქართულ სახალხო წარმოდგენათა საქმეთა აუწყებს სახალხო სცენის მოღვაწეთ გარდაცვალებას თავის წევრის

თამარა ქუჩუკაშვილისას

და სთხოვს მათ მობრძანდნენ პანაშვიდზე, რომელიც დანიშნულია განსვენებულის ბინაზე (გონჩარნი ქუჩა, საკუთ. სახლი) 28 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, და დაკრძალვაზე შაბათს, 29 დეკემბერს. (0—1)

გენერალ-ადიუტანტი, გენერალი ინფანტერიისა, უგანათლებულესი თავადი

გრიგოლ ლევანის ძე დადიანი

გარდაიცვალა ქალაქ ქუთაისს, 24 დეკემბერს. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე, მიცვალებულის სახლში, ბალახვანის ქუჩაზე. 28 დეკემბერს ქუთაისის საკათედრო ტაძარში წირვას გადაიხდიან და შემდეგ ცხედარს წაასვენებენ მარტვილის მონასტერში, სადაც 30 დეკემბერს დაკრძალავენ. (3—2)

კვირას, 30 დეკემბერს, მისი უგანათლებულესობის

თავადის გრიგოლ ლევანის ძის

დადიანის

დასაფლავების დღეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი—12-ზე. (2—1)

ეკატერინე ივანეს ასული მიხეილ მინგრელსკაიასა მშობლიურთა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 30 დეკემბერს, გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის ძმისა და ბიძის

მიხეილ ივანეს ძის წერეთლის,

ქ. ქუთაისში, მთავარ ანგელოზის ეკკლესიაში. (1—1)

შაბათს, 29 დეკემბერს,

თავ. დავით ზაალის ძის ბარათაშვილის

გარდაცვალების წლის თავზე გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე, რასაც მიცვალებულის ქვრივი და შვილები აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ.
წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე. (2—1)

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. კალდიზენ

როვეის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვინის პროსპ. მანთაშევის სახლში. ✿ **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, [illegible] გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო [illegible]ები. ტელეფონი № 679. (ნ. 0—41)

დღევანდელ „ცნობის ფურცლის“ ხელის მომწერთ ურიგდებათ „Новое Обозрѣніе“-ს განცხადებები.

კვირას, 6 იანვარს, 1902 წ.
ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში
გამართული იქნება

მეჯლისი

(ბალი)

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ. ბილეთის ფასი 2 მან. 10 კაპ.

ქალთათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის. სამხედრო კაცთათვის ჩვეულებრივი ტანისამოსი და დანარჩენთათვის—ფრაკი და ნაციონალური ტანისამოსი.

დასაწყისი საღამოს 10 საათზე.

ბილეთები იყიდება „კრუჟოკის“ მეკარესთან. (10—3)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

გ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.
მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.
ი. ზ. ფიოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.
ზ. ბ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.
მძ. ქალი მ. ს. ზაქრაძე—ბავშვებისა 11—12.
ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე,
ძ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.
ა. ზ. ბარხუძოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.
დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.
ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.
ა. ზ. მაღალაშვილი.—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე.
ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ტელეფონი № 274. (წლ.)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი, ტელეფონი. 791.

ექიმი

პ. მ. ელიოზიშვილი

ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 12—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

ექიმი

იაკობ ზაქარიას ძე

გძელიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7-მდე, შინაგანის და ათაშანგის ავადმყოფობით. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85 (0—9)

ცინკოგრაფია

ტიპოგ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული **სურათებიდან და** ხელით ნახატებიდან.

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლის“-ს №№-ბი. თითო №-[illegible] [illegible]ნომრებით—5 კაპ.

ახალი ამბავი

◆ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე აცხადებს, რომ 1902 წლის 26 იანვარს, დილის 11 საათზე, ბანკის სადგომში დანიშნულია **ბანკის რწმუნებულთა** საგანგებო კრება, რომელმაც უნდა აღნიშნოს ვადა რწმუნებულთა ახალის არჩევნებისა და აგრეთვე განიხილოს საკითხი ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლის შესახებ. კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი რწმუნებულიც უნდა გამოცხადდეს.

◆ ჩვენ გვწერენ საინგილოდან, რომ 20 დეკემბერს ს. კახში გლეხმა გამსარაშვილმა **მოჰკლა** თოფით დარაჯთა უფროსი კარპოვიჩი.

◆ ოთხშაბათს, 26 დეკემბერს, სამეურნეო საზოგადოების სადგომში საღამოს 8 საათზე სხდომა ჰქონდა **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს** სხვა-და-სხვა მიმდინარე საქმეების განსახილველად. საბჭომ პირველად განიხილა გამოფენის კომისარად ნამყოფის თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის მოხსენება იმის შესახებ, რომ წარდგენილ იქმნენ კავკასიის სამეურნეო გამოფენის ყოფილ გამგე-კომისიის წევრი 25 კაცამდე და აგრეთვე ყველა ის პირნი, რომელთა ვინაობაც ამ დღეებში უკვე გვქონდა ჩვენს გაზეთში აღნიშნული, გამოფენის საქმეში ნაყოფიერ მოღვაწეობისათვის უმაღლეს მთავრობასთან დასაჯილდოვებლად სხვა-და-სხვა ორდენებით. საბჭომ შესაძლებლად სცნო აღნიშნულ პირთა დასაჯილდოვებლად წარდგენა და გარდასწყვიტა ეს საკითხი განსახილველ-დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეურნეო საზოგადოების საზოგადო კრებას. საბჭომ ამავე სხდომაზე შეადგინა სია გამოფენის საქმეში სხვა მოღვაწეთაც, რომელნიც უნდა იქმნენ აგრეთვე დასაჯილდოვებლად წარდგენილნი; საბჭოს გარდაწყვეტილებით სამეურნეო საზოგადოების საპატიო წევრებად უნდა ამორჩეულ იქმნენ: ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ვ. ი. კოვალევსკი, პროფესორი ვ. ვ. დოკუჩაევი, ი. ა. წინამძღვარიშვილი, პროფესორი ოდესის უნივერსიტეტისა ვ. მ. პეტრიაშვილი და ს. ქ. ხოჯაშვილი. უმაღლეს ჯილდოებზე უნდა წარდგენილ იქმნენ: კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის ყოფილი კომისარი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი პერევოზნიკოვი, აბრეშუმეულობის და სხვა-და-სხვა მცენარეთა მაღაზიის პატრონი პარიზში ბ-ნი ვილმორენი, პერმიკინი, მეყვავილე კუჩენბახი და ცნობილი აბრეშუმის პარკის მყიდველი და მეთესლე (გრენიორი) სოგომონიანცი; ოქროს მედალზე წარდგენილ იქმნებიან: ა. ა. ქალანთარი და ანანოვი, ხოლო მიწადმოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებულ ი. ს. მედვედევს კავკასიის ტყის ფლორის სპეციალურად შესწავლისათვის მიეცემა საპატიო დიპლომი; საპატიო ქების ფურცლების მისაღებად წარდგენილ იქნებიან ბ-ნი ტიხეევი, ტატარინოვი, გარსევანიშვილი, ლოკასევიჩი და სხვ[illegible]. კავკასიის გამოფენის მიწად-მოქმედების განყოფილების გამგედ ერთ ხანს ყოფილ და უეცრად გარდაცვალებულ ვ. ნ. გეევსკის შესახებ, რომელსაც თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის გამოფენის გამართვის საქმეში, საბჭომ გარდასწყვიტა განსვენებულის სურათი ჩამოკიდონ სამეურნეო საზოგადოების დარბაზში და აგრეთვე განსვენებულის სახელობაზე ერთი სტიპენდია იქნეს დაარსებული ტფილისის საბაღოსნო სკოლაში დასა[illegible] საბჭომ [illegible]ასწყვიტა წარ[illegible]

ნოს სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებას თვისი დადგენილება დასამტკიცებლად, რომლითაც ამორჩეულმა განსაკუთრებულ სალიკვიდაციო კომისიის წევრებმა ვ. ყიფიანმა, თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილმა და ა. ევანგულოვმა უნდა მოახდინონ გამოფენის საქმეების ლიკვიდაცია.

◆ კვირას, 30 დეკემბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდება კავკასიის **სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება**, რომელზედაც, სხვათა შორის, განხილულ იქნება საზოგადოების საბჭოს დადგენილებანი გამოფენის გამართვაში მოღვაწეთა დაჯილდოვებისა, გამოფენის ლიკვიდაციისა და სხვა საქმეების შესახებ.

◆ ტფილისის გუბერნიის საქალაქო საკრებულომ ნება მისცა ქალაქის გამგეობას, იხელმძღვანელოს **წლევანდელის ხარჯთ-აღრიცხვით**, ვიდრე მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა იქნება დამტკიცებული.

◆ ტფილისის საბჭოს კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს სოლოლაკის ტუნელის საქმე, გადასწყვიტა მოსთხოვოს ხატისოვსა და ბრაილოვსკის, წარმოადგინონ სამთო მმართველობის ნება რთვა ტუნელის გაყვანის შესახებ.

◆ სახალხო წარმოდგენათა სადგომში დანიშნული **ქართული კონცერტი** 26 დეკემბერს სხვა-და-სხვა მიზეზების გამო არ შესდგა და გადაიდვა სხვა დროისთვის. ბილეთების მყიდველთ ფული უკანვე შეუძლიანთ მიიღონ წარმოდგენებისავე სადგომში.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზის ბაქოს ნაწილზე ამ დღესასწაულებზე რამდენიმე **უბედური შემთხვევა მოხდა**: 24 დეკემბერს ბარგუშეთის სადგურზე ერთმანეთს დაეჯახნენ საქონლის მატარებლები № 147 და № 188; დამსხვრეულია 30 ცისტერნა და ორი საქონლის ვაგონი; მაშინისტის თანაშემწეს ვახტანგ გუზულის ორივე ფეხი დაუშავდა. 25 დეკემბერს იმავე სადგურზე რელსებიდან გადავარდა ორი სამგზავრო მატარებლის № 5 ორი ვაგონი; უბედურება არავის შემთხვევია. 26 დეკემბერს სადგურ ალიკენში რელსებიდან გადავარდა საქონლის მატარებელი № 22; დაიმტვრა ცხრა ვაგონი და ლოკომოტივი გაფუჭდა. 24 დეკემბერს სადგურ კარასუში საქონლის მატარებელს გაუსკდა ორთქლის ქვაბი, დაშავდა მაშინისტი კუსობა, მისი შვილი და მისი თანაშემწე გოგოშვილი.

◆ 25 დეკემბერს ნავთლუღში შემთხვევით შემდეგი **ბოროტ-მოქმედება** აღმოაჩინეს: შუადღის 12 საათზე იქაურმა მცხოვრებმა ვლადიმირ შჩეგოლევმა თვალი მოჰკრა თათარს, რომელსაც დასისხლიანებული ტომრით რაღაც მიჰქონდა მტკვრისაკენ. შჩეგოლევი უკან დაედევნა თათარს და მტკვრის ნაპირას დაეწია. თათარი ჯერ წაეჩხუბა შჩეგოლევს, შემდეგ დააგდო ტომარა და გაიქცა. ტომარაში კაცის ნახევარი ტანი აღმოჩნდა. პოლიციამ იმ დღესვე აღმოაჩინა მკვლელი, ეს ყოფილა ერევნის მცხოვრები მაჰმად-ხან-ოღლი. მის სახლში ნახეს მოკლულის—ალი-სადიხ-ოღლის ტანის მეორე ნახევარიც. მკვლელმა განაცხადა, რომ ალი-სადიხ-ოღლი მე მოვკალი, რადგან მასზე და ჩემ ცოლზე ეჭვი შევიტანეო. ცოლ-ქმარნი დატუსაღებულნი არიან.

◆ ოთხშაბათს, 26 დეკემბერს, გაიხსნა ახლად გაკეთებული **დაბახანის ხიდი**. ხიდის კურთხევას დაესწრო თავადი გოლიცინი მეუღლით.

◆ ბაქოში **კრიზისი თანდათან** ძლიერდება; მუშების დათხოვნა არ შეწყვეტილა: ამ დღეებში მუშები დაითხოვა ფირმამ „ელექტრონული ძალა“, დაითხოვეს [illegible] აგრეთვე ბაილოვის სადგურიდან („კასპი“).

◆ **დაბა ხონიდან გვწერენ**: 13 ამ თვეს [illegible]იდან ექვსი ვერსის მ[illegible] ს. მათხო[illegible] მოხდა მეტად თავ[illegible] [illegible]ქნებოდა საღამოს [illegible] საათი, რომ ყა[illegible] [illegible]ირანის ძე [illegible] ეზოს კარებთან [illegible] დაიძახა [illegible], გამოდი საქმე მაქვს [illegible] იმ დროს ყაზარა შინ იყო, [illegible] გაიხედა.—„შენ არა, ყაზარამ გამოიხედოსო“—უპასუხა უცნობმა. მაშინ ყაზარამ გასწია ეზოს კარებისაკენ. ამ დროს უეცრად ვიღაცა კაცმა მარჯვენა გვერდში დაახალა დამბაჩა და გაიქცა. საბრალო ყაზარამ მიიჭირა გვერდზე ხელი და შებრუნდა სახლში. ქალების კივილზე მოცვივდნენ მეზობლები და შეიქმნა ერთი ალიაქოთი; გამოუდგენ მკვლელს, მაგრამ ამაოდ. მეორე დღეს ხონიდან წავიდნენ გამოსაძიებლად გამომძიებელი და ხონის ნაწილის ბოქაული. ორი დღე იცოცხლა საბრალო ყაზარამ და შემდეგ დიდის ტანჯვისა განუტევა სული. განსვენებული სულ ახალ-გაზრდა—23 წლისა იყო. დარჩა საბრალოს ახლად შერთული ცოლი ფეხ-მძიმედ.

წერილი რედაქციის მიმართ

I

მოწყალეო ხელმწიფევ ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადოთ ქვემო დასახელებულ პირებს, რომელთაც კეთილი ინებეს და შემოსწირეს 10 მან. ხიდისთავში განზრახულ საზოგადო სახლის ასაშენებელ თანხის მოსამატად. ეს ფული შეგროვებია ანდრია კობიძეს ს. ჭიათურაში.— სია შემომწირველთა: თავ. კონსტანტინე გურიელმა 2 მან., ივანე კობიძემ, გ. ნანეიმა, ფილ. დარჩიამ, გ. ლომაძემ, და ნ. პიეტტემ თითო მანეთი; ალ. ხაბულიანმა, ბ. დუდუჩავამ, დ. ნაკაიძემ, უშ. საბაშვილმა და გ. ჟღენტმა ათ-ათი შაური. ჯ. ბაბილოძემ და ბ. ფირცხალავამ თითო აბაზი, ხოლო თედორე კეშელავამ—ორი შაური.

ხიდისთავის სამკითხველოს გამგე
ანტონ რამიშვილი.

II

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულ გაზეთ «ცნობის ფურცლის» საშუალებით ჩვენი ღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ბ-ნ ერმილე სიორიძეს, რომელმაც შემოსწირა ხიდისთავის უფასო სამკითხველოს ხუთი ქართული და ორი რუსული წიგნი; სიმონ ჯანიშვილს, რომელმაც შემოსწირა ამავე სამკითხველოს ›Русская школа‹ 1898 წლისა. მოსე ნინიძეს და ერმილე კალანდაძეს, რომელთაც თვითეულმა მათგანმა შემოსწირა თითო ქართული წიგნი.

ამასთანავე გაცხადებ, რომ იმ ერთი მანეთით, რომელიც მე გადმომცა ივანე კალანდაძემ ხიდისთავში შეკრებილი განსვენებული ნინოშვილის სულის მოსახსენებლად პანაშვიდის გადახდის დღეს, მე ვიყიდე «რამდენიმე მოთხრობა» 60 კ. და «ჩვენი ქვეყნის რაინდი» 20 კ. დანარჩენი ერთი აბაზი გადავეცი სამკითხველოს მოლარეს თემურაზ კალანდაძეს.

ხიდისთავის უფასო სამკითხველოს გამგე
ანტონ რამიშვილი

დეპეშა

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

24 დეკემბერი

ბერლინი. ვირხოვს თეძოს ძვალი აქვს გატეხილი; მდგომარეობა სრულიად უშიშარია.

ბირინი. ნათესავებთა და ნაცნობებს ვულოცავთ ქრისტეს შობის დღე-ასწაულს და ახალ წელს; ვუსურვებთ ყოველ სიკეთეს. ყველანი კარგად ვართ. ბარონი შტაკელი, ქოლენკო, სოლუნსკოვი.

ნოვგოროდი. დილას გაირბინა აღმოსავლეთ-სამხრეთისაკენ უდიდესმა მეტეორმა, რომლის კუდი ბრწყინვალებით ანათებდა.

ასტრახანი. შვიდი გრადუსი სითბოა. სავაჭრო გემი ცარიცინში მიდის, სადაც ხუთი გრადუსი სითბოა.

ვარშავა. მინისტრთა კომიტეტმა დაამტკიცა პოლონეთის გუბერნიებში მისავალ გზათა სამშენებლო და საწარმოებელ საზოგადოების წესდება.

25 დეკემბერი

პეტერბურგი. გამოცხადდა საიმპერატორო სამხედრო საექიმო აკადემიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელი თანხის წესდება: 1) 1901 წელს უმოწყალესად ნაბოძებს სამხედრო-საექიმო აკადემიისათვის 50,000 მ. ეწოდოს „თანხა იმპერატორის ნიკოლოზ მეორისა“; 2) აღნიშნული ფული შეადგენს სამუდამო თანხას, რომლის შემოსავალიც უნდა მოხმარდეს სამხედრო-საექიმო აკადემიის ღარიბ სტუდენტთ, განურჩევლად გვარ-ტომობისა და სარწმუნოებისა აკადემიის უფროსის განკარგულებით; 3) ეს თანხა აკადემიის შეძლებაზედ არის მიწერილი და 4) თუ რაიმე სარგებელი დარჩება ამ თანხიდან, ისიც თანხას უნდა მიეთვალოს.

საპატიო ოპეკუნები დაინიშნენ: გენერალ-ლეიტენანტი ციმერნი პეტერბურგის თვალის საავადმყოფოს მზრუნველად; დრუჟინინი ქსენონის ინსტიტუტის მმართველად. ციმბირის სამხედრო ოლქის გენერალ-გუბერნატორს გენერალ-ლეიტენანტს სუხოტინს ებოძა თეთრი არწივის ორდენი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა, რომ მომავალში აღარ შემოიტანონ საზღვარ-გარეთიდან ბაჟ-გადუხდელი ნივთები ლოტორეიის და ბაზრებისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის შესახებ უმაღლესი ბრძანება იქნება. ფინანსთა მინისტრმა მოახდინა განკარგულება სადამოჟნო უწყებაში, რომ მეტის ყურადღებით გაშინჯონ ხოლმე, როგორც აწ არსებულ კანონ მდებლობაშია ნაჩვენები, ბარგი და ნივთები, რომლებიც მგზავრებს მოაქვთ საზღვარ-გარეთიდან.

სანტ-იაგო. არგენტინის რესპუბლიკამ მოსთხოვა ჩილის, რომ ოქმის შინაარსი განმარტოს.

იაკოგამა. სეულიდან იტყობინებიან, რომ ჩინეთის და კორეის მთავრობათ დასდვეს ხელ-შეკრულობა, რომლის ძალითაც ჩინელებს ეძლევათ ნება თევზის ჭერისა კორეის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაპირზედ, როგორი ნებაც იაპონელებსა აქვთ.

ტიუმენი. ძლიერი ყინვების შემდეგ ჩამოთბა. თოვლის ნამქერები კიდევ არის.

ორენბურგი. ორენბურგ-ტაშკენტის რკინის გზის ნაწილზედ პირველად გაიარა მატარებელმა, რომელმაც გადაიარა მდინარე ურალი ორენბურგის სადგურამდე.

26 დეკემბერი

ვარშავა. გარდაიცვალა ცნობილი ფინანსისტი ბლიოხი.

ბირმინჰამი. ჩემბერლენმა სთქვა სიტყვა, რომელშიაც იმპერიალიზმს იცავდა, და განაცხადა ინგლისისთანა ლიბერალი ქვეყანა არ არსებულა და არ არსებობს, მაგრამ იგი მაინც ყველასს სძულს. სხვა ხალხები შურით უცქეროდნენ ინგლისს, ცილს სწამებდნენ მას და სიხარულით მოელოდნენ მის დაცემას, რომელიც, მათის აზრით, ძლიერ ახლო იყო: ასე იყო ყოველთვის და ეხლანდელ მთავრობასა და ახალშენების მინისტრს აქ არაფერი დაუშავებიათ. ინგლისს მხოლოდ თავის იმედი უნდა ჰქონდეს, მას მხარს აძლევს მისი ბრწყინვალე განმარტოება და ახალშენები. საჭიროა ყოველგვარი მსხვერპლი ძველთაგან მიღებულ მდგომარეობისა და ახალშენების ნდობის შენახვისა. მინისტრმა სთქვა, რომ საჭიროა ბაზრების ხელის შეწყობა; მისის აზრით, სრულებით არ არსებობს საშიში სამრეწველო კრიზისი; წინააღმდეგ, მას დიდი იმედი აქვს მომავალისა. შემდეგ ჩემბერლენი შეეხო როზბერის სიტყვას და ლიბერალებისა და უნიონისტების შეერთების კითხვას და სთქვა, რომ ცთომილ შვილის მიღებამდე საჭიროა დავრწმუნდეთ, რამდენად გულ წრფელია მისი მოქცევა. ინგლისელების უმრავლესობა თანახმანი არიან იმისა, რომ სამხრეთ-აფრიკის ომი გამოწვეულია აუცილებლობით და, რომ ინგლისი აქ არავითარი მდაბალი მოსაზრებით არ ხელმძღვანელობს. ისტორიაც ამას იტყვის, ინგლისს არჩევანი არ ჰქონდა, თუ მას არ სურდა სამხრეთ-აფრიკისა და ახალშენების ნდობის დაკარგვა.

ლონდონი. მეფემ უბოძა მარკიზ იტოს დიდი ჯვარი. იტო პარიზში წავიდა.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება იოჰანესბურგიდან, რომ გასულ კვირას მოჰკლეს 36 ბური, დაჰჭრეს 9, ტყვედ წაიყვანეს 261 და თავისით დანებდნენ 72. გენ. ელიოტის ჯარი დევეტის რაზმის ახლო იმყოფება; აქეთკენ ჯარებს დიდის სიჩქარით გზავნიან. პოლკოვნიკი [illegible]რუდერი ვატერვაალის ახლო თავს დაესხა ერთ ფელკორნეტის რაზმს; ბურებმა მოუკლეს 5 კაცი და დაუტყვევეს 29. ამავე დროს პოლკოვნიკ ალენბის რაზმის ერთი ნაწილი, პოლკოვნიკ ვალიანის მეთაურობით, თავს დაესხა ბურების პატარა ბანაკს მდ. ოლიფანტის სათავესთან; დატყვევებულია 11 ბური, მათ შორის ერთი ფელდკორნეტიც.

ბუენოს-აირესი. ჩილის მთავრობის განცხადებამ პოლიციის შესახებ დააკმაყოფილა არგენტინის მთავრობა. ორივე მთავრობამ მოიწონა ოქმი, რომლითაც დაკმაყოფილებულია არგენტინის მთავრობის მოთხოვნა.

მეხიკა. პან-ამერიკულ კონგრესზე დამნაშავეთა გაცემის შესახებ მიღებულ იქმნა გაიტისა და ეკვადორის წინადადება, რომლის მიხედვით ანარქისტების მოქმედება პოლიტიკურ დანაშაულობად არ ითვლებოდეს.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება იოჰანესბურგიდან, რომ პლუმერმა 21 და 22 დეკემბერს რამდენიმე პოზიცია წაართვა ბურებს, რომელთაც მეთაურობდნენ კრისტიან ბოტა და ოპერმანი. პლუმერის ჯარის ერთმა ნაწილმა მეტად მძიმე ზარალი ნახა; მოკლულია 18 კაცი და დაჭრილია 5 ოფიცერი და 28 ჯარის-კაცი. ბურებმა დაჰკარგეს 9 კაცი.

კონსტანტინოპოლი. ოფიციალურ წრეებს მოსწონთ, რომ ბოსნიასა და ჰერცოგოვინას შემოერთების შესახებ ხმა უარყოფილ იქმნა. ამ წრეების განცხადებანით პორტას სრული იმედი აქვს, რომ ავსტრო-უნგრეთი დაიცავს ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე statisquo-ს.

პეკინი. პაოტინფუდან სასახლე რკინის გზით მოვიდა მაჩავეიში და გაჩერდა ქალაქიდან სამის კილომეტრის მანძილზე. შემდეგ საკაცით განაგრძეს მგზავრობა. არავითარი ინციდენტი არ მომხდარა. სასახლე შევიდა ქალაქის აკრძალულ [illegible]ში ორის ნახევარზე. იმპერატორი, ქვრივი დედოფალი, პრინცი ჩუნი და ახალგაზდა დედოფალი ყვითელ საკაცეებით მოვიდნენ; მათთან ახლდა ბრწყინვალე კავალკადა და დიდძალი ჯარი. წინ მიდიოდა იუნშიკაის ჯარი. უცხოელები ჩინშენის კარებთან შეიკრიბნენ. იმპერატორი და ქვრივი დედოფალი შევიდნენ ტაძარში და საკმეველი უკმიეს. ტაძრიდან გამოსვლისას ქვრივმა დედოფალმა თავი დაუკრა უცხოელებს და პროცესია სასახლისაკენ წავიდა. გზის ორივე მხარეს ჯარები დახოქილი იყვნენ.

ვაშინგტონი. ნიუ-ჩუანგში სამჯერ მოუვიდათ შეტაკება ამერიკელ გემის „ვიკსბურგის“ მატროსებსა და რუსის ჯარის კაცებს. როგორც იმის, ერთი რუსი დაჭრილია. რუსეთის ელჩმა ლესარმა მიჰმართა საჩივრით ამერიკის ელჩს კონჯერს, რომელმაც შეატყობინა ეს ინციდენტი გარეშე საქმეთა სამინისტროს. საზღვაო მინისტრმა გაუგზავნა „ვიკსბურგის“ უფროსს დეპეშით ბრძანება—მიიღოს ყოველი ღონისძიება, რომ არ მოხდეს ამისთანა ინციდენტები. „ვიკსბურგი“ სდგას აქ მდინარის შესართავში და გაზაფხულამდე ვერ დაიძვრის ადგილიდან

ჰამბურგი. ვოლფის სააგენტო. მეტერნიხმა, ახლანდელმა ელჩმა ლონდონში, ბურგომისტრის პასუხად შემდეგი სთქვა: „მე ყოველთვის მოწმედ ვყოფილვარ იმისა, რომ ჰანზის ქალაქებს სურვილი ჰქონიათ—მეგობრული განწყობილება დაემყარებინათ გერმანიასა და ინგლისს შორის; მე შემიძლია მხოლოდ მივემხრო ბურგომისტრის აზრს, რომ დიპლომატიის მოვალეობაა შეამციროს ანტაგონიზმი, თუ ის არსებობს; თუმცა ეხლა არსებობს ახალი სკოლა, რომლის აზრით [illegible] ინგ[illegible]ლის შორის ძველადგან [illegible] ერთობა უნდა მოისპოს [illegible] არ არის ძნელი მივეც [illegible]ურს აზრს. ჩემის აზრით, [illegible]სებს უფრო შეეფერება, [illegible] წინანდელსავით მეგობრობით, [illegible] ტივისცემით, რასაც [illegible] ზიანობაც მოითხოვს.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

27 დეკემბერი.

პეტერბურგი. 19 დეკემბერს საზამთრო ასახლეში მიულოცავენ ახალ ჯვარდაწერილებს—დიდ მთავრინას ოლგა ალექსანრეს ასულსა და ოლდენბურგის პრინცს ეტრე ალექსანდრეს ძეს.—1902 წლის 1 ანვარს [illegible] იმპერატორებითი უდიდებულესობანი საზამთრო სასახლეში მიიღებენ ახალწლით მილოცვას.—25 დეკემბერს არსკოე სელოში მის უდიდებულესობის ალის და სხვა-და-სხვა ჯარისათვის გაიმართა შობის ხე; დღესასწაულს დაესწრნენ ლმწიფე-იმპერატორი, დედოფალი ალექანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე-მემიდრე, დიდი მთავრინა ოლგა ალექსანრეს ასული და მეუღლე მისი პრინცი ტრე ალექსანდრეს ძე. 26 დეკემბერს ივე დღესასწაული გაიმართა ცარსკოელო[illegible]ნარჩენ ჯარისათვის.

მაღლესად ებრძანა: გროდნოს გუბერტორის თანამდებობის აღმასრულებელს ვადს ურუსოვს იყოს გროდნოს გუბერტორად; ვორონეჟის გუბერნიის ნოვოპერის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძლს ზვეგინცევს იყოს სმოლენსკის გურნატორად.—ბეჭდვითი საქმის უმთავრეს რთველობის საბჭოს წევრი ბელგარდი თხოვნილ იქმნა თანამდებობიდან და დაინი ლიფლიანდიის ვიცე-გუბერნატორად; ნებულ საბჭოს წევრად კი დაინიშნა ხეონის ვიცე-გუბერნატორი თავადი ურუო.

იმბირსკი. თოვლი დნება. სითბოა.

ანჯა. ზაფხულის ამინდია. ქუჩებსა ყვენ.

ეოდოსია. 26 დეკემბერს, ნაშუადვის 5½ საათზე მოისმა დედა-მიწის გუდან გრიალი და საკმაოდ მძლავრად იძმიწა. მცხოვრებნი შეშინდნენ.

[illegible]ი. უცხოელებს მიენიჭათ არა-ჩვეურივი შეღავათი იმპერატორის სახლეულს პეკინში შემოსვლის დროს დასასლად. ქვრივ დედოფლის თავაზიანობა ოელთა მიმართ გამხდარა ცხოველ სარაკო საგნად. ინგლისის რკინის გზის ექტორი და ინსპექტორი იმპერატორმა ზე ინახულა.

თინა. აქ მოვიდა დიდი მთავარი კირივლადიმირის ძე.

არიზი. ოფიციალურ ცნობებით მტკიბა, რომ დელკასსესა და პრინეტის შომოლაპარაკებას ტრიპოლისის შესახებ ო უარის ყოფის ხასიათი ჰქონდა.

რლინი. ბიულოვის მიერ წაკითხულ სიტყვაში აღნიშნულია საზოგადომიურ პირობათა არა კეთილ საიმედო ი; მოსალოდნელი არ არის, რომ წელი ფინანსიური მხრივ კეთილად ლებულიყოს. რკინის გზების შემომოსალოდნელზე კაცილებით ნაკ1902 წელს სახელმწიფო შემოსალები მოსალოდნელი, ვიდრე გალს იყო; მიუხედავათ ამისა გასავადა დაიფაროს ისე, რომ საგანგებო იება არ იქნეს მიღებული. სეფე სინახსენებია, რომ მთავრობა შეადროექტს მუშების სადგომების გაუმბის შესახებ და აგრეთვე იმ მოხემდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ნიც მცირე ჯამაგირს იღებენ. მთაგანზრახვა აქვს მეტი ფული გადასხელმწიფო რკინის გზების გაფართოვის. სეფე სიტყვა ჰპირდება აგრეთვე ეთა და ზღვათა სავაჭრო მიმოსვლის იგებას. რადგანაც გერმანიის სასომეურნეობა შევიწროვებულ მდგომამია, უმთავრესად პოზნანსა და დაპრუსიაში, ამიტომ მთავრობამ დამიიღო ღონისძიებანი აღმოპროვინციების შესახებ. სეფე სიცხადებს შემდეგ, რომ პრუსიის საფოს დასაცველად გერმანულს ელეუფრო მკვიდრი პოლიტიკური და ური მდგომარეობა მიენიჭება. მთაგანჭვალულია სურვილით: მტკიცედ ყვლად დაიცვას გერმანული ელეპროვინციებში და ებრძოლოს საფოს საწინააღმდეგო ტენდენციებს; ბას ამ საქმეში იმედი აქვს ადგილობრივ გერმანელებისა, რომელთათვის გერმანულ ენის დამცირება ერის [illegible] შებ[illegible] უნდა ჩაითვალოს.

ბერლინი. რეიხსტაგი. ბიუჯეტის პირველი კითხვა. მინისტრი ტილმანი აღნიშნავს ფინანსების არა სასურველ მდგომარეობას, რომელიც გამოიწვია ეკონომიურმა [illegible]ითებამ; მისის აზრით, საჭიროა მოიძებნოს შემოსავლის ახალი წყაროები. კონსერვატორი შტოლბერგი იხსენიებს თავის სიტყვაში ჩემბერლენის აზრს 1870—1871 წ.წ. ომის შესახებ; გერმანიის მხედრობის სასტიკმა ბრალდებამ ხალხში გამოიწვია უძლიერესი მრისხანება. სამთა კავშირის შესახებ ორატორმა სთქვა, რომ იგი ბუნებრივია და არა ნაძალადევი. იმპერიის კანცლერმა უპასუხა: „წინანდელი ორატორი შეეხო ჩემბერლენის აზრს ჩვენის ჯარების მოქმედების შესახებ საფრანგეთ-გერმანიის ომის დროს. ჩვენ ყველანი იმ აზრისა ვართ, და ვგონებ, გონიერი ინგლისელებიც დაგვეთანხმებიან, რომ თუ მინისტრი იძულებულია დაიცვას თავისი პოლიტიკა, კარგს იზამს, თუ სხვა სახელმწიფოს არ მოიტანს მაგალითად; მაგრამ თუ ეს დასჭირდა, მეტად ფრთხილად უნდა მოიქცეს, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევა შეიძლება უთანხმოება გამოიწვიოს, სხვისი გრძნობაც შეურაცხყოს! მე მრწამს, რომ ჩემბერლენს განზრახვა არ ჰქონია ჩვენის ჯარის შეურაცხყოფისა. მრწამს ეს უფრო მას შემდეგ, როდესაც თვით ინგლისმა მოგვცა ამ რწმენის საბუთი. ამ გვარი შემთხვევა უფრო სამწუხარო მაშინ არის, როდესაც იგი შეეხება იმ სახელმწიფოს, რომელიც ყოველთვის მოწადინებული იყო მეგობრულს განწყობილებას; ხოლო ასეთი განწყობილება ორთავე სახელმწიფოსათვის ფრიად საჭიროა. ადვილად გასაგებია, რომ გერმანიის ერი, რომელიც ახლო სდგას თავის მხედრობასთან, აღელდა იმით, რომ გადაამახინჯეს გმირული მნიშვნელობა და ზნეობრივი საფუძველი ჩვენის ეროვნულის ბრძოლისა. მაგრამ გერმანიის მხედრობა მეტად მაღლა სდგას და მის ფარი მეტად წმინდაა და არავითარი მითქმა-მოთქმა მას ვერ შელახავს. ამის გამო შეიძლება გავიმეოროთ სიტყვები ფრიდრიხ დიდისა, რომელმაც, როცა უთხრეს, ვიღაცამ შენი მხედრობა შეურაცხყოო, სთქვა: „ნუ მიაქცევთ ყურადღებას და ნუ შეწუხდებით. მათ უნდათ კლდეს უკბინონ.“ წინადელი ორატორი შეეხო სამთა კავშირს, მან სამართლიანად აღნიშნა, რომ ყოველთვის იყვნენ მსურველნი ანდერძი აეგოთ კავშირისათვის, მაგრამ ეს კავშირი უწინდებურად ჩინებულად ჰგრძნობს თავის-თავს, და, იმედი მაქვს, კიდევ დიდხანს იცოცხლებს იმ ადამიანებივით, რომელთაც შეცდომით დაუყრიან სიკვდილის ზარს. ამ კავშირის ხასიათის შესახებ ბევრი შემცდარი აზრი ტრიალებს: ეს კავშირი სამრეწველო ამხანაგობა როდია, ის არავის არ ემუქრება, მხოლოდ მოსაგერებლად არის დაარსებული. მას ომი კი არა, მშვიდობიანობა ჰსურს დაამყაროს. გრაფმა შტოლბერგმა სამართლიანად სთქვა, რომ ეს კავშირი ბუნებრივი არისო: მან უნდა უზრუნველჰყოს გერმანელებისათვის 1860—1870 წლების ომების შედეგი. კავშირს ხელთ უპყრია მომავალი, იგი არ უარჰყოფს კეთილ მოკავშირეთა კეთილ-განწყობილებას სხვა სახელმწიფოებთან. მე უხერხულად მივიჩნევდი, გერმანიის პრესსის მცირე ნაწილიც რომ აღელვებულიყო იტალიისა და საფრანგეთის დახლოვების შესახებ: ბედნიერი ქმარი არ უნდა გაწყრეს, თუ მისმა ცოლმა ცოტა გადაჭარბა და მომეტებული იცეკვა სხვასთან (სიცილი); საქმე ის არის ქმარს არ გაექცეს და არც გაექცევა, თუ მასთან ბედნიერია. კავშირი არ აკისრებს მოკავშირეთ სამძიმო მოვალეობას. არც ერთი მათგანი იძულებული არ არის გააძლიეროს თავისი მხედრობა, პირიქით, შეუძლიან შეამციროს იგი. შემიძლიან ვსთქვა, რომ უსამკავშიროთ თვითოეული მოკავშირე იძულებული იქნებოდა უფრო მეტი დაეხარჯა ვიდრე ეხლა, როდესაც მძლავრის ჯგუფის წევრია (სრულიად მართალია!) იტალიის და საფრანგეთის შეთანხმება ხმელთა შუა ზღვას [illegible]ეხება და სრულიად კავშირის წინააღმდეგი არ არის. საზოგადოდ ჩვენ შეგვიძლიან სრულიად დამშვიდებულნი ვეყვნეთ, რადგანაც საქმეთა ეხლანდელი ვითარება სრულიად სხვა არის, ვიდრე 1889 წელს იყო, როდესაც თავადმა ბისმარკმა და გრაფმა ანდრაშიმ შეადგინეს სამთა კავშირი; მაშინ ჩვენ საგნადა გვქონდა მხოლოდ ევროპის პოლიტიკა და ხმელთა შუა ზღვის იქით არ მივდიოდით. ეხლა კი დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკას საგნათა აქვს მთელი დედამიწა. ვგონიებ, ისტორიაში არ ყოფილა ისეთი ხანა, რომ ამდენი მძლავრი სახელმწიფო ყოფილიყოს. ეს გარემოება ხელს უწყობს საყოველთაო მშვიდობიანობას, რადგანაც ყოველი სახელმწიფო იმის შიშშია, ვინ იცის რა მოხდება იმის ზურგს უკან, თუ ევროპაში ომი დაიწყო. 1879 წელს ჩვენ დიდებულ სახელმწიფო მოღვაწეთ ბისმარკსა და მოლტკეს დიდის ომის შიში ჰქონდათ; ეხლა ვითარება უფრო ნაკლებად საშიშია და ეს სხვა-და-სხვა მიზეზებით აისნება: პირველად ყოვლისა ქვეყანა დაამშვიდა გერმანიის 30 წლის სამშვიდობო პოლიტიკამ; 20 წლის წინად გავრცელებული იყო აზრი, ვითომ გერმანია საომარ პოლიტიკას დაადგება. ამგვარი აზრი საშიში იმითი იყო, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი შემდეგ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ: თუ ჩვენ არ ვისარგებლეთ შემთხვევით და გერმანიას თავს არ დავესხმებით, შეიძლება გერმანიამ ხელთ იგდოს შესაფერი დრო და თითონ დაგვეცეს. ამ გვარ მოსაზრებამ ეხლა თავისი ძალა დაკარგა, რადგან უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში ჩვენ არა ერთხელ გვქონია შემთხვევა თავს დავსხმოდით ჩვენ მეზობლებს, მაგრამ არც ერთხელ არ გვისარგებლია. ეხლა რომ ვინმე სთქვას, გერმანიას ან იმის იმპერატორს ომი ჰსურსო, ამ ცილის წამებას არავინ დაიჯერებს (სრულიად მართალია!) ყოველმა პოლიტიკოსმა იცის ეხლა, რომ ჩვენ მშვიდობის მოყვარენი ვართ. ეხლანდელის პოლიტიკის საგანი შორს არის გერმანიის საზღვრებიდან. მაგალითისათვის დავასახელებ თუნდ ჩრდილოეთ აფრიკას, სპარსეთს და აღმოსავლეთ აზიას. ამ რიგად, თუ სამთა კავშირი ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას არ წარმოადგენს, იგი მაინც ძვირფასია, როგორც დამცველი მშვიდობიენობისა და საქმეთა ეხლანდელ მდგომარეობისა. იგი აერთებს იმ სახელმწიფოებს, რომელთა გეოგრაფიული და პოლიტიკური მდგომარეობა საჭიროდ ხდის მეგობრულ განწყობილების დაცვას. რაც ჩვენ შეგვეხება,—ამით ვათავებ სიტყვას,—ვეცდებით შემდეგშიაც ისეთი ძალა ვიქონიოთ, რომ ჩვენთან კავშირი სხვებისათვის ძვირფასი იყოს, ხოლო მტრობა საშიში.“

ნიუ-იორკი. ნიუ-იორკის რკინის გზის გვირაბში ერთმანეთს დაეჯახა სამგზავრო მატარებლები. დამსხვრეულ ვაგონებს ცეცხლი წაეკიდა. ჯერ-ჯერობით 24 [illegible]ლი იპოვნეს. დაშავებულთა რიცხვი დიდია.

ტიანძინი. ხმა დადის, რომ ქალაქ გარეშე მდებარე მიწებს დაუბრუნებენ ჩინელებს მომავალ წლის აპრილში. ქალაქი კი დარჩება უცხოელთა დროებითი მთავრობის ხელში.

ვენა. ავსტრიის კავალერიის ოფიცრათ ნამყოფს ფონ-კარინას ჯაშუშობისათვის მიესაჯა 4½ წლით დაპატიმრება და შემდეგ ავსტრიიდან სამუდამოდ განდევნა.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

ფელეტონი

გამოფენის სახურავი,
რომელიც ღირსად იქნა ვერცხლის მედლისა
კავკასიის საიუბილეო გამოფენაზე; სახურავი ცინკით დაფერილ რკინის ფიცრებისაა ი. შელენგოვისა და ამხ. ქარხანისა; ისყიდება ძალიან დაკლებულ ფასად, ვიდრე აღნიშნულია პრეისკურანტში, გ. მულიარსკის კანტორაში, ერევნის მოედანზე, № 25. (4—1)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1901 წლის 28 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე მის თანადასწრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით შესამაგრებელ კედლის გაკეთება, პროსელოჩნი ვიწრო ქუჩის მოკირწყვლა, სულ 2771 მანეთისა და 35 კაპ.
მსურველთ შეუძლიანთ გაიცნონ პირობები გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე. (ნ. 3—3)

იყიდება 1902 წლის
უბის წიგნი
და
კალენდარი
საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში.
ფასი 40 კაპ. გამოცემა „გლეხისა“. (5—2)

გამოვიდა და ისყიდება
საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში
სიმონ ქვარიანის ლექსები
ფასი 25 კაპ.
ვისაც უნდა ფას-დაკლებით იყიდოს, მან უნდა მოგვმართოს ჩვენ: Квирилы. Типографія Гачечиладзе. (5—3)

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ
საკერავს:
კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს).
ბარონის ქუჩა, № 12 (10—10)

კბილის საექიმო კაბინეტი
ელისაბედ რომანიშვილისა
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1.

ამხანაგობა „შრომა“
საკუთარ სეხილეულობის სანერგედან ჰყიდის
ძლიერ იაფად დამყნილ
ნერგებს
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ: აგრ. დაგადეხში—გ. [illegible]რიკაძეს; ტფილისში—ბაღოსნობა «ფლორას» და მუშტაიდში—ზ. [illegible]
კატალოგი იგზავნება უფასოდ. (20—10)

საბედნიერ-დღეოდ
ისყიდება ფარმაცევტთა ამხანაგობის მაღაზიებში
(სასახლის ქუჩაზე და მუხრანიანთ ქუჩაზე)
შობის ხის სრული მორთულობა
კოლოფი 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 10, 12, 15, 20 და 25 მანეთიანი. აქვე ისყიდება საგანგებოდ არჩეული საჩუქრებისთვის ფოტოგრაფიული აპპარატები და მათი კუთვნილება, სტერასკოპები და მათთვის სურათები.
საპირფარეშო სამკაული და ყველა ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა.
ადრესი ფოსტისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ.
ტელეფონი № 741.
ადრესი ტელეგრ.: Тиф. «Фармацевти

მთავარი წიგნის მაღაზიაში ძმ. იმედაშვილებისა №№ 19 და 20

გასასყიდად გამოვიდა „ცხოვრების სარკე“ პიესების კრებული

მთელი წიგნი, სურათებით. 421 გვ. ფასი ერთი მანეთი.

შინაარსი: I—**ურიელ აკოსტა**, ტრაგ. 5 მოქ., გერმანიის მწერლის გუცკოვისა, თარგ. ი. ბაქრაძისა; **უფროსი ძმა**, დრამა 1 მოქ. ალ. დიუმისა, ფრანგულიდან თარგ. ივ. მაჭავარიანისა; **ფული და ხარისხი**, კომ. 3 მოქ. აზიანისა; **ოსკარ პეტროვიჩი საიძიოს**, ვოდ. 1 მოქ. გ. სუნდუკიანცისა, სომხურიდან თარგ. დ. ტერ-დავითიანცისა; **ბაბუსა მჭირს**, ორიგინალური კომ. 1 მოქ. ავქ. ცაგარლისა; **დაბადება**, ვოდ. 1 მოქ. ან. ჩეხოვიდან, გად. გრ. ვოლსკის-მიერ; **დედაკაცმა აგვრია**, ახალი სცენები ... დ. ნახუცრიშვილისა. II—**ლექსები, კუპლეტები** (ვაი-ვუის ხმაზე და სხვ.) **გუ-რული ... III—წერილები: თეატრი**, როგორც ზნეობრივი დაწესებულება შილლერისა, ახალი თარგმანი დ. ნახუცრიშვილისა, **დრამატიული ხელოვნების შესახებ**, ვ. აბაშიძისა, **ქართული თეატრი** და მისი მსახიობ-მოღვაწენი, ი. იმედაშვილისა, **სია** სათამაშოთ ნება-დართულ პიესებისა (გაგრძელება), **სურათები** (ეფ მესხისა, ნუცა ჩხეიძისა, აზიანისა, გ. სუნდუკიანცისა, ა. ცაგარლისა, გ. გედევანოვისა, ნ. გალუსტოვისა, ალ. თამაზიშვილისა). წიგნი შეიცავს 421 გვ. ფასი **ერთი** მანეთი. ეს წიგნი დაბეჭდილია ცოტა, მსურველთ ჩქარა შეიძინონ. უმთავრესი საწყობი: ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ი. ზ. იმედაშვილის წიგნის საწყობში. აქვე იყიდება „ცხოვრების სარკე“ I წიგნი—ფასი 60 კაპ. ვინც ორივეს იყიდის, პრემიათ მიიღებს 10—20 კაპიკიანი ქართული წიგნი.

ᲘᲐᲜᲘᲥᲐᲠᲘ ისტორიული დრამა 5 მოქ. დავით ნახუცრიშვილისა. (ეს პიესა დაჯილდოვებულია პრემიით 100 მან. დრამატიული საზოგადოების-მიერ). დაბეჭდილია ძრიელ ცოტა, შეიცავს 144 გვ. **ფასი 40 კაპ.**

(5—3) ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Георгiевская, книжн. магазинъ I. З. Имедашвили.

დაიბეჭდა და იყიდება **წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში:** შ. არაგვისპირელის ... **ირმელი წიგნი**, ფასი ათი შაური. ისტორიული რომანი ბოლო ... ივ. ვაზოვის **„დამონებულნი“**, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, გამოცემა ... წერაკიძისა, ფასი ერთი მანეთი. პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნები შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ. Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество გადასაგზავნი ხარჯი არ გადახდებათ მათ, ვინც ზემოხსენებულ ადრესით დაიბარებს და წიგნების ღირებულ ფასს (მანეთ ნახევარს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

„ТИФЛИССКIЙ ЛИСТОКЪ“

(годъ изданія XXV-й)

въ 1902 году, какъ и раньше, будетъ выходить ежедневно, но

въ значительно УВЕЛИЧЕННОМЪ ФОРМАТѢ.

Увеличивъ размѣры газетнаго листа до формата „Русскихъ Вѣдомостей“, редакція ежедневно будетъ давать подписчикамъ приблизительно на 4 столбца или на 600 строкъ газетнаго матеріала болѣе, чѣмъ до сихъ поръ, получивъ такимъ образомъ возможность одни изъ отдѣловъ газеты, до нынѣ являвшіеся, за отсутствіемъ мѣста, случайными,—вести регулярно („Обзоръ печати“, журнальное обозрѣніе, беллетристика и пр.), а другіе отдѣлы (внутренней и иностранной жизни и др.)—значительно расширить.

Особенное же вниманіе редакціи будетъ обращено на развитіе отдѣла корреспонденцій, чтобы газета могла явиться возможно полной выразительницей нуждъ закавказскихъ провинцій, безъ ущерба однако отдѣлу тифлисской жизни, на который и въ предстоящемъ году будетъ обращено преимущественное вниманіе.

Въ 1902 году газета будетъ заключать въ себѣ слѣдующіе отдѣлы и подъ-отдѣлы:

I. Дѣйствія и распоряженія правительства. II. Телеграммы отъ собственныхъ корреспондентовъ и „Россійскаго телеграфнаго агентства“. III Статьи по общимъ краевымъ вопросамъ, а также по вопросамъ городского самоуправленія. IV. Внутреннія извѣстія. V. Иностранныя извѣстія. VI. Мѣстный отдѣлъ (хроника тифлисской жизни и другихъ мѣстъ Кавказа и Закавказья). VII. Наши корреспонденты. VIII. Злободневные фельетоны („Мысли вслухъ“, „Мелочи жизни“, „Бѣглыя замѣтки“ и др.). IX. Судебный отдѣлъ. X. Письма читателей. XI. Обзоръ печати (общей и кавказской). XII. Фельетоны (городской, обозрѣнія кавказской жизни, популярно-научный, историческій, беллетристика, иностранной и внутренной жизни и др.). XIII. Театръ и музыка. XIV. По Россіи. XV. Смѣсь, справочный отдѣлъ и объявленія.

Тексъ газеты по временамъ будетъ иллюстрироваться, а по мѣрѣ надобности будутъ выходить отдѣльныя „ИЛЛЮСТРИРОВАННЫЯ ПРИБАВЛЕНІЯ“.

По понедѣльникамъ подписчикамъ будетъ разсылаться телеграммы съ справочнымъ отдѣломъ и объявленіями.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

	на годъ.	на 6 мѣс.	на 3 мѣс.	на 1 мѣс.
Съ доставкой въ Тифлисѣ	5 руб.	3 руб.	1 р. 75 к.	— 75 к.
Съ пересылкой иногороднимъ	7 „	4 „	2 „ 50 „	1 — „
Съ пересылкой заграницу	12 „	7 „	4 „ — „	1 50 „

Подписка принимается только съ 1-аго числа каждаго мѣсяца исключительно въ конторѣ изданія. Головинскій проспектъ, № 3.

Плата на объявленія: для Закавказья за мѣсто, занимаемое строкой петита: на первой страницѣ—10 коп. и на четвертой страницѣ—5 коп: за объявленія внѣ предѣловъ Закавказья: на первой страницѣ—24 коп. и на четвертой—12 коп.

Открыта подписка

на 1902 годъ

НА ИЗДАЮЩУЮСЯ ВЪ РОСТОВѢ НА ДОНУ

большую ежедневную политическую, литературную и экономическую газету

„Приазовскій Край“

СЪ ЕЖЕНЕДѢЛЬНЫМИ ИЛЛЮСТРИРОВАННЫМИ ПРИЛОЖЕНІЯМИ.

XII годъ изданія.

Давая ежедневно общирную хронику явленій и событій общей русской и заграничной жизни, „Приазовскій Край“ преслѣдуетъ разъ намѣченную цѣль—широкую разработку мѣстныхъ краевыхъ вопросовъ и нуждъ по всѣмъ отраслямъ общественной, экономической и торгово-промышленной жизни. Всѣ факты, отмѣченные общественнымъ интересомъ, находятъ мѣсто и надлежащее освѣщеніе на страницахъ газеты.

Собственные корреспонденты въ крупнѣйшихъ европейскихъ центрахъ, во внутренной Россіи и во всѣхъ мѣстностяхъ Донской области, Приазовья и Сѣвернаго Кавказа.

Собственныя и агентскія телеграммы политическія, общественныя и биржевыя.

Въ еженедѣльныхъ „приложеніяхъ“—иллюстраціи, беллетристика, новости науки, литературы и промышленности, смѣсь.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ ВЪ РОССІИ:

съ доставкой и пересылкой для городскихъ и иногороднихъ подписчиковъ:		без доставки для городскихъ подписчиковъ:	
годъ	9 руб.— к.	на годъ	8 руб.— к.
мѣсяцевъ	5 „ — „	6 мѣсяцевъ	4 „ 50 „
„	4 „ 25 „	5 „	3 „ 75 „
„	3 „ 50 „	4 „	3 „ — „
„	2 „ 75 „	3 „	2 „ 25 „
„	2 „ — „	2 „	1 „ 50 „
„	1 „ — „	1 „	— „ 80 „

За пересылку газеты за границу взимается сверхъ подписной цѣны добавочныхъ 60 коп. ежемѣсячно. За перемѣну адреса взимается: съ иногороднихъ или съ городскихъ на иногородніе 25 коп.

Подписка принимается: въ Ростовѣ на Дону, въ главной конторѣ газеты „Приазовскій Край“.

Разсрочка подписной платы допускается только для лицъ, подписывающихся съ 1-го января на годъ (о чемъ должно быть заявлено при уплатѣ перваго взноса), и только на слѣдующихъ условіяхъ: I) полугодичная—при подпискѣ—5 р. и къ 1-му іюля—4 р. и II) въ три срока: при подпискѣ—4 р., къ 1 мая—3 р. и 1 сентября—2 руб.

(3. 3—3) Редакторъ и отвѣтственный издатель С. Х. Арутюновъ.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

(წელიწადი მეცამეტე)

გამოვა 1902 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, რივორც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების საკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალის ფასი ტფილისში დატარებით დირს 4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში—„წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში (**Дворцовая ул. д. Грузинскаго Дворянства, № 101**) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (**Аартиллер ул., № 5, возлѣ кадетскаго корпуса**).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала **„ДЖЕДЖИЛИ“**.

Открыта подписка на 1902 годъ

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ПОЛИТИЧЕСКУЮ, ЛИТЕРАТУРНУЮ И ЭКОНОМИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ:

„НОВОСТИ“

и на художественный журналъ:

„ПЕТЕРБУРГСКАЯ ЖИЗНЬ“

Изданіе акціонернаго общества „ГУТТЕНБЕРГЪ“

Подписка на **„НОВОСТИ“ въ 1902 году** на 1-е (большое) изданіе безъ доставки: на годъ 14 р. 50 к., на 11 м. 13 р., на 10 м. 12 р., на 9 м. 10 р. 50 к., на 8 м. 9 р. 80 к., на 7 м. 9 р., на 6 м. 8 р., на 5 м. 6 р. 80 к., 4 м. 5 р. 50 к., 3 м. 4 р., 2 м. 2 р. 80 к., 1 м. 1 р. 50 к. Съ доставкой по городской почтѣ: на годъ 16 р., на 12 м. 15 р., на 10 м. 13 р. 50 к., на 9 м. 12 р., на 8 м. 11 р., на 7 м. 10 р., на 6 м. 9 р., на 5 м. 7 р. 50 к., на 4 м. 5 р. 80 к., на 3 м. 4 р. 50 к., на 2 м. 3 р. 30 к., на 1 м. 1 р. 80 к. Съ пересылкой иногороднымъ: на годъ 17 р., на 11 м. 15 р. 50 к., на 10 м. 14 р. 50 к., на 9 м. 13 р. 50 к., на 8 м. 12 р. 50 к., на 7 м. 11 р. 30 к., на 6 м. 10 р., на 5 м. 8 р. 50 к., на 4 м. 7 р., на 3 м. 5 р. 50 к., на 2 м. 4 р., на 1 м. 2 р. За границу: на годъ 26 р. 20 к., на 11 м. 24 р. 50 к., на 10 м. 23 р., на 9 м. 21 р., на 8 м. 18 р. 50 к., на 7 м. 16 р., на 6 м. 14 р., 5 м. 12 р., на 4 м. 10 р., на 3 м. 8 р., на 2 м. 6 р., на 1 м. 3 р. 50 к.

Разсрочка платежа годовой подписной цѣны допускается: для служащихъ—по третямъ, через ихъ казначеевъ, а для другихъ лицъ—по соглашенію съ конторою. Деньги и письма адресуются: Петербургъ, въ контору газеты „НОВОСТИ“, Б. Морская, № 17. Адресъ телеграммъ: Петербургъ „Новости“.

Условія отдѣльной подписки на иллюстрированный журналъ

„Петербургская Жизнь“

(Выходитъ два раза въ недѣлю)

ПОДПИСНАЯ цѣна ЖУРНАЛА: безъ доставки и пересылки: на 1 годъ—5 р., на 6 мѣс.—3 р., на 3 мѣс. 1 р. 75 к. Съ доставкою и пересылкою: на 1 годъ—6 р., на 6 мѣс. 3 р., на 2 мѣс.—1 р.

Отъ конторы газеты „НОВОСТИ“. Выяснившаяся въ послѣдніе годы потребность въ общедоступномъ политическомъ и литературномъ органѣ вынуждаетъ издателей большихъ газетъ и журналовъ итти ей навстрѣчу и, поступаясь своими матеріальными интересами, понизить подписныя цѣны этихъ изданій съ такимъ расчетомъ, чтобъ они стали доступными всѣмъ, безъ исключенія, читателямъ, сознательно интересующимся общественной и государственной жизнью. Пониженіе подписной цѣны второго изданія газеты „Новости“, безъ измѣненія ея формата и содержанія большой политической газеты,—первая серьезная попытка въ этомъ направленіи, основанная на вѣроятности значительнаго увеличенія числа ея подписчиковъ. Будемъ надѣяться, что расчетъ этотъ оправдается въ полной мѣрѣ.

Съ перваго января 1902 года

подписная цѣна на второе изданіе политической, литературной и экономической ежедневной газеты

„НОВОСТИ“

ВМѢСТѢ СЪ ЖУРНАЛОМЪ

„ПЕТЕРБУРСКАЯ ЖИЗНЬ“

(выходящимъ два раза въ недѣлю), безъ измѣненія формата и содержанія газеты

ЗНАЧИТЕЛЬНО ПОНИЖЕНА ДЛЯ ИНОГОРОДНЫХЪ ПОДПИСЧИКОВЪ

6 (вмѣсто 11 рублей).

рублей на 12 мѣс., 3 руб. 50 коп. на 6 мѣс., 2 руб. 20 коп. на 3 мѣс. и 75 коп. на 1 мѣс.

Желающіе ознакомиться съ газетой и журналомъ и въ текущемъ 1901 г. могутъ подписатся на нее по вышеуказаннымъ цѣнамъ, на одинъ годъ, два и три мѣсяца (начиная съ 1-го числа каждаго мѣсяца). Въ газетѣ и журналѣ принимали и принимаютъ участіе: Анненкова-Бернаръ, Н. П.—Антокольскій, М. М.—Антроповъ, Р. Л.—Арсеньевъ, Н. Ф.—Баранцевичъ, К. С.—Бентовинъ, Б. И.—Бирюковичъ, В. В.—Бобрыкинъ, П. Д.—Быстренинъ, В. П.—Бѣловъ, В. Д.—Василевскій, И. Ф. (Буква).—Ватсонъ, М. В.—Вейнбергъ, П. П. Венгеровъ, С. А.—Венгерова, З. А.—Верещагинъ, В. В.—Веселовская, А. А.—Веселовскій, А. Н.—Веселовскій, Ю. А.—Головачевъ, А. А.—Городецкій, М. Б.—Далматовъ, В. П.—Ермиловъ, В. Е.—Исаевъ, А. А.—Капнистъ, Ида, гр.—Карцевъ, Е. Е.—Кауфманъ, Ил. И.—Карабчевскій, Н. П.—Кулишеръ, М. И.—Красновъ, Пл. Н.—Кудряшевъ, М. И.—Кюи, Ц. А.—Ламанскій, Е. И.—Ларошъ, Г. А.—Ломброзо, Чезаре.—Лондонъ, Е. В.—Мантегацца, Паоло—Минскій (Виленкинъ), Н. М.—Мордовцевъ, Д. Л.—Морозовъ, П. О.—Недзвѣцкій, В. I.—Немировичъ-Данченко, В. И.—Никитинъ, В. Н.—Никольскій, Д. П.—Оболенскій, Л. Е.—Оршанскій, И. Г.—Острогорскій, В. П.—Песковскій, М. Л.—Писаревъ, М. И.—Плющевскій, Я. А.—Покровская, М. И.—Половскій, Л. А.—Радцигъ, А. А.—Ракшанинъ, Н. О.—Рейнгольдъ, А. А.—Рапопортъ, С. И.—Сафоновъ, С. А. (Печоринъ).—Семеновъ, Е. П.—Сильчевскій, Д. П.—Скабичевскій, А. М.—Слобожанинъ, Е. Д.—Спасовичъ, В. Д—Стасовъ, В. В.—Трачевскій, А. С.—Умановъ-Каплуновскій, В. В.—Ферреро, Гуглельмо.—Фирсовъ, Н. Н. (Рускинъ).—Фламаріонъ, Камиллъ.—Фроловъ, К.—Хирьяковъ, А. М.—Цѣховская, В. Н.—Чюмина, О. Н.—Шумковъ, В. В.—Энгельгардтъ, М. А.—Ябловскій, А. А.

Контора газеты „НОВОСТИ“: С.-Петербургъ, Бол. Морская № 17. При конторѣ газеты „Новостей“ существуетъ книжный магазинъ, услугами котораго подписчики „Новостей“ пользуется на льготныхъ условіяхъ.

(3. 3—2) Отвѣственный редакторъ-издатель О. К. НОТОВИЧЪ.

На 1902 годъ (III-ій годъ)

Открыта подписка на ежемѣсячный научно-литературный журналъ

„КАВКАЗСКIЙ ВѢСТНИКЪ“

„Кавказскій Вѣстникъ“ даетъ ежегодно около 3,000 страницъ оригинальныхъ и переводныхъ статей съ арм., груз., татарск., арабск. и съ европ. языковъ.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ: Для городскихъ подписчиковъ—9 р., на ½ года—5 р., для иногородныхъ на годъ—10 р., на ½ 6 руб.

Разсрочка допускается для учебныхъ заведеній и учащихся, подписывающихся непосредственно въ конторѣ журнала. Книжнымъ магазинамъ ком. ск. 10%.

Адресъ Редакціи и Конторы: Тифлисъ. Тургеневская, 11. Подписка принимается во всѣхъ книжныхъ магазинахъ, въ конторѣ журнала и въ отдѣленіи конторы: Тифлисъ, Голов. пр. № (книжный маг. Хиддекель).

Въ числѣ рукописей, имѣющихся въ Редакціи, находятся слѣдующія:

Пастырь, повѣсть А. Казбека, съ груз.—Со всѣхъ сторонъ, повѣсть Арбоели, съ груз.—Честь, романъ Ширванзаде, съ арм.—Зѣница Ока, О. Шапиръ.—Стихотворенія Ов. Туманьянца, съ арм.—Дитя страданья, романъ Аларкона, съ исп.—Мать и сынъ, драмат. этюдъ кн. Ил. Г. Чавчавадзе, съ груз.—Мемуары кн. Андроникова (1811 г.).—Максъ Мюллеръ, Бердяева.—Воспоминанія офицера генеральнаго штаба, С. Кишм...—Обычное право у казаковъ, А. Передѣльскаго.—Турецкій театръ, Эр. Росс...—Вахтангъ VI и Петръ Великій, В. Романскаго.—Обычное семейное право у ... Самуельяна.—Вліяніе Византіи на грузинское законодательство, Н. Тавдгиридзе.—... ская академія, проекты Кера и Гр. Уварова.—Мемуары Л. Исарлова.—Матеріалы для исторіи Эчміадзинскаго патріаршаго престола.—Очерки по крѣпостному праву и крестьянской реформѣ въ Грузіи, А. Кипшидзе.—Григорій Нарекскій. этюдъ А. Чобаньяна.—Елизаветпольская губернія, впечатлѣнія и воспоминанія, I. Сегаль.—Письма и записки нѣкоторыхъ кавказскихъ дѣятелей, а также Ренана, Мопасана, В. Гюго, Шопенгауера и др.

Полный экземпляръ „Кавказскаго Вѣстника“ за 1900 годъ можно получить въ конторѣ журнала за 11 руб.; за 1901 г.—10 р.

Годовые подписчики получатъ въ 1902 г. приложеніемъ къ „Кавказскому Вѣстнику“ романъ М. С Хатисовой ПО НОВОМУ ПУТИ.

(3. 3—1) редакторъ-издатель В. Д. Коргановъ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Декабря 1901 г.

[illegible]